

<p>ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/216</p>	<p>Agreement on state Procurement №0300/10/216</p>
<p>ქ. თბილისი <u>28.07</u> 2016 წელი</p> <p>ერთი მხრივ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (მის: საქართველო ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, საფოსტო კოდი: 0112)- (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის ნუგზარ ჭეიშვილის სახით და მეორე მხრივ, სს Leitner (მის: იტალია, ბრენერის ქ. №34 ი-39049 შტერცინგი/ვიპიტენო (I)) წარმოდგენილი - მისი წარმომადგენლის, სერვისის დეპარტამენტის მენეჯერის მარკუს პარჩის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის №716 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:</p>	<p>Tbilisi <u>28.07</u> 2016</p> <p>On the one hand the “Tbilisi Transport Company” LTD (address: No: 2, Station Square, Tbilisi, Postal Code: 0112) (further “Purchaser”) represented by the General Director Nugzar Cheishvili and on the second hand Leitner JSC (address: italy No: 34, Brenner Str., (I)) 39049, Sterzing/Vipiteno, (I)) represented by the Representative, Manager of the Service Department Markus Parth (further “Supplier”), further referred to as the Parties, based on the sub point ‘d’, point 3 of Article 10¹ of the “Law of Georgia on state Procurement” and Order No: 716 of the Government of Georgia dated April 8, 2015 on “Conducting Public Procurement through Simplified Procurement by the Tbilisi Transport Company LTD founded based on 100% share participation of the Government of Tbilisi Municipality” hereby agreed on the following:</p>
<p>1. ტერმინთა განმარტებები</p> <p>ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.</p> <p>1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.</p> <p>1.3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული დოკუმენტით: დანართი - ფასების ცხრილი;</p> <p>1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.</p> <p>1.5 „საქონელი“ - სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.</p> <p>1.6 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.</p>	<p>1. Definitions of the Terms</p> <p>The terms used in the Agreement shall have the following meanings:</p> <p>1.1 The “Procuring entity” (hereinafter referred to as the “ purchaser”) - an organization that conducts public procurement by the funds defined in accordance with the “Law of Georgia on state Procurement”.</p> <p>1.2 “Supplier” –person who has entered into the Agreement on state Procurement with the procuring organization.</p> <p>1.3 “The Agreement on state Procurement” (hereinafter referred to as “the Agreement”) - This agreement between the procuring organization and the supplier along with the attached document: attachment – price list.</p> <p>1.4 “The Agreement Value” - the total amount to be paid by the procuring organization for full and thorough performance of the obligations imposed by this Agreement.</p> <p>1.5 “The Goods” –the purchase item foreseen by the Agreement on state Procurement.</p> <p>1.6 “Day”, “Week”, “Month” – calendar day, week, month.</p>
<p>2. ხელშეკრულების საგანი</p> <p>2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისაგან საბაგიროს სათადარიგო ნაწილების (შემდგომში - „საქონელი“) გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა.</p> <p>2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 42419900; 44440000.</p> <p>2.3 მისაწოდებელი საქონლის დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის შესაბამისად (დანართი).</p> <p>2.4 შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარემო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.</p>	<p>2. Subject of the Agreement</p> <p>2.1 Subject of the Agreement is simplified procurement of the spare parts of the ropeway from the supplier by the procuring organization.</p> <p>2.2 Classification code of the procurement object: 42419900; 44440000.</p> <p>2.3 Name, dimensions, quantity and the unit price shall be defined in accordance with the price list (Attachment).</p> <p>2.4 The procurement object must be factory packed and preserved from external impact, except for the production that cannot be factory packed.</p>

„შემსყიდველი“
 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ნუგზარ ჭეიშვილი
 გენერალური დირექტორი

Purchaser
 LTD “Tbilisi Transport Company”

Nugzar Cheishvili
 General Director

„მიმწოდებელი“
 Leitner JSC

მარკუს პარჩი
 წარმომადგენელი, სერვისის დეპარტამენტის მენეჯერი

LEITNER AG SpA
 Brennerstraße 34 - Via Brennero
 I-39049 Sterzing - Vipiteno (BZ)
 MwSt. P. IVA: IT 00123790214

Markus Parth
 Representative, Manager of Service Department

<p>3. ხელშეკრულების ღირებულება</p> <p>3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 6749.10 (ექვსი ათას შვიდას ორმოცდაცხრა ევრო და 10 ევროცენტი) ევროს ექვივალენტს ლარში (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).</p> <p>3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს CIF თბილისამდე.</p>	<p>3.Value of the Agreement</p> <p>3.1 The total value of the agreement is: 6749.10 (six thousand seven hundred and forty nine euros and ten eurocents) Euros equivalent in GEL(further - „Value of the Agreement“).</p> <p>3.2 The Value of the Agreement includes all the alleged costs by the supplier CIF to Tbilisi related to procurement of the goods foreseen by the Agreement.</p>
<p>4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი</p> <p>4.1 საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრება - ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღე.</p> <p>4.2 საქონლის მიწოდების ადგილია - CIF თბილისი.</p>	<p>4.Time and Place of Delivery of the Goods</p> <p>4.1 The time of delivery of the goods is defined - no later than 70 (seventy) calendar days from registration of the agreement.</p> <p>4.2 The place of delivery of the goods – CIF Tbilisi.</p>
<p>5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</p> <p>5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.</p> <p>5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: მატერიალურ ფასეულობათა მართვის სამსახურის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი, საბაგრო სამსახურის ტექნიკური განყოფილების უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი (შემდგომში „ინსპექტირების ჯგუფი“).</p> <p>5.3 ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:</p> <p>5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;</p> <p>5.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;</p> <p>5.3.3 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.</p>	<p>5.Control of Implementation of the Agreement</p> <p>5.1 With the view of proper implementation of the obligations undertaken by the supplier at any stage of the Agreement period the purchaser is authorized to carry out control of implementation of the Agreement.</p> <p>5.2 Control of Implementation of the Agreement by the purchaser is conducted by: the head/acting head of the Material Values Management Service, the head/acting head of the Technical Division of the Ropeway Service (further “Inspection Group”).</p> <p>5.3 The functions of the Inspection Group are:</p> <p>5.3.1 To control observance the terms of delivery of goods under the contract;</p> <p>5.3.2 To establish compliance of the delivered goods with the requirements of the Agreement;</p> <p>5.3.3 To draw up the acceptance act with the supplier and ensure acceptance of the delivered goods.</p>
<p>6. საქონლის საგარანტიო პირობა</p> <p>6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი და ხარისხიანი.</p> <p>6.2 მიწოდებულ საქონელზე უნდა გავრცელდეს გარანტია საქონლის მიღების შესახებ შედგენილი დოკუმენტაციის (მიღება-ჩაბარების აქტის), გაფორმების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.</p> <p>6.3 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონლის შეცვლა განახორციელოს შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 70 (სამოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.</p>	<p>6. Goods Warranty Terms</p> <p>6.1 The supplier warrants that the delivered goods will be fresh and of high quality.</p> <p>6.2 Warranty shall be applicable to the delivered goods within 12 (twelve) months since signing the documents (act of acceptance) about receipt of the goods.</p> <p>6.3 During the warranty period the supplier is obliged to ensure replacement of the defective goods within a reasonable time, but not more than 70 (seventy) calendar days, upon receiving written request from the buyer.</p>
<p>7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი</p> <p>7.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რომელიც ფორმდება საქონლის საბოლოო ადგილზე განთავსების დღეს.</p> <p>7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს ინვოისი.</p> <p>7.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.</p>	<p>7. Rule of Acceptance of the Goods</p> <p>7.1 The goods supplied by the supplier shall be deemed accepted on the basis of the act of acceptance wich will be drawing of final destination of the goods.</p> <p>7.2 Together with drawing up acceptance form the supplier is obliged to submit invoice to the purchaser.</p> <p>7.3 The - acceptance form is drawn up upon completing each delivery of the</p>

„შემსყიდველი“
 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ნუგზარ ჩეიშვილი
 გენერალური დირექტორი

„Purchaser“
 LTD “Tbilisi Transport Company”

Nugzar Cheishvili
 General Director

„მიმწოდებელი“
 Leitner JSC

მარკუს პარჩი
 წარმომადგენელი სერვისის დეპარტამენტის მენეჯერი

„Provider“
LEITNER AG-SPA
 Brennerstraße 34 Via Brennero
 39049 Sterzing - Vipiteno (BZ)
 MWST P.IVA: IT 00123790214

Representative of Service Department

<p>7.4 საქონლის მიღება ხდება თბილისში საბაჟოს ტერიტორიაზე და საბოლოო შემოწმება ხდება 5 სამუშაო დღის ვადაში საქონლის განთავსების საბოლოო ადგილზე.</p> <p>7.5 საქონლის (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.</p>	<p>goods (or any part thereof).</p> <p>7.4 The goods are accepted at the customs area in Tbilisi and the final inspection is carried out within 5 working days on the site of final destination of the goods.</p> <p>7.5 Remedy of any defects or drawbacks revealed as a result of acceptance and/or final inspection of the goods or any part thereof shall be ensured by the supplier at its own expenses.</p>
<p>8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები</p> <p>8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ევროში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე მის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად.</p> <p>8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინვოისის წარდგენის საფუძველზე.</p> <p>8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმა ხელშეკრულების 12.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოეკეთოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.</p> <p>8.4 სააგანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.</p>	<p>8. Payment terms and conditions</p> <p>8.1 Payment shall be provided in non-cash settlement in € to the bank accounts of the supplier in accordance with the exchange rate set by the National Bank of Georgia. for the payment date per volume of goods actually supplied.</p> <p>8.2 Payment shall be made within 5 working days, on the basis of signed act of acceptance and submission of the invoice.</p> <p>8.3 The purchaser is entitled to, and the supplier agrees to deduct the amount of penalty imposed by paragraph 12.3 of the Agreement (if any) from the sum to be transferred to the supplier per each act of acceptance.</p> <p>8.4 No advance payment is applicable.</p>
<p>9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები</p> <p>9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა სრული დაცვით.</p> <p>9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:</p> <p>9.2.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;</p> <p>9.2.2 საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.</p> <p>9.3 შემსყიდველი ვალდებულია:</p> <p>9.3.1 მიიღოს მოთხოვნილი საქონელი;</p> <p>9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;</p> <p>9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.</p> <p>9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:</p> <p>9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;</p> <p>9.4.2 ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;</p> <p>9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:</p> <p>9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;</p> <p>9.5.2 საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების მე-4</p>	<p>9. Rights and Obligations of the Parties</p> <p>9.1 The purchaser and the supplier act in full compliance with the requirements of the Law of Georgia on “state Procurement and the provisions of other legislative acts.</p> <p>9.2 The purchaser shall be entitled:</p> <p>9.2.1 To carry out the control and supervision of observance of the terms of the Agreement by the supplier;</p> <p>9.2.2 In case of violation of the terms of delivery of goods to demand payment of a penalty by the supplier in accordance with the amount defined in this Agreement.</p> <p>9.3 The purchaser is obliged:</p> <p>9.3.1 To accept the requested goods;</p> <p>9.3.2 To ensure payment to the supplier in accordance with the terms of this Agreement;</p> <p>9.3.3 To fulfill other obligations under this agreement.</p> <p>9.4 The supplier is entitled:</p> <p>9.4.1 To demand from the purchaser payment of the value of the supplied goods in accordance with the terms of this Agreement;</p> <p>9.4.2 In case of violation of the terms of payment to demand payment of a penalty by the purchaser in accordance with the amount defined in this Agreement;</p> <p>9.5 The supplier is obliged:</p> <p>9.5.1 To supply the purchaser with the goods perfect materially and legally;</p> <p>9.5.2 To ensure supply of the goods in accordance with the 4-th point of this agreement;</p> <p>9.5.3 To ensure supply of the goods at its own expenses;</p> <p>9.5.4 Review the claims of the purchaser and provide a reasoned response to each issue. Additionally, to immediately initiate</p>

„შემსყიდველი“
 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ნუგზარ ჭეიშვილი
 გენერალური დირექტორი

„Purchaser“
 LTD "Tbilisi Transport Company"

Nugzar Cheishvili
 General Director

„მიმწოდებელი“
 Leitner ISC

მარკუს პარჩი
 წარმომადგენელი - სერვისის დეპარტამენტის მენეჯერი

LEITNER AG-SpA
 Brennerstraße 34 Via Brennero
 I-39049 Sterzing - Vipiteno (BZ)
 MwSt.-P.IVA: IT 00123790214

Representative, Manager of Service Department

<p>პუნქტის შესაბამისად;</p> <p>9.5.3 საქონლის მიწოდება უზრუნველყოს საკუთარი ხარჯით;</p> <p>9.5.4 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;</p> <p>9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.</p>	<p>work with the view of remedy of the revealed defect;</p> <p>9.5.5. To ensure execution of the obligations imposed under this Agreement.</p>
<p>10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა</p> <p>10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.</p> <p>10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.</p> <p>10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია.</p> <p>10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.</p>	<p>10. Amendments to the Agreement</p> <p>10.1 Neither party of the Agreement is entitled to unilaterally amend the terms of this agreement.</p> <p>10.2 If for some unforeseen reason, the need arises to change the terms of the contract, the initiator of the amendments shall notify the other party in writing.</p> <p>10.3 Any amendments to the Agreement resulting in increase or worsening of conditions for the buyer, are not permitted.</p> <p>10.4 Any amendments to the provisions of the Agreement shall be drawn up in a separate agreement which shall be attached to the Agreement and considered as its integral part.</p>
<p>11. ხელშეკრულების შეწყვეტა</p> <p>11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:</p> <p>11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;</p> <p>11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;</p> <p>11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p> <p>11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:</p> <p>11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;</p> <p>11.2.2 მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;</p> <p>11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდებას;</p> <p>11.2.5 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.</p>	<p>11. Termination of the Agreement</p> <p>11.1 The Agreement might be terminated:</p> <p>11.1.1 Based on a written agreement of the parties;</p> <p>11.1.2 Due to expiration of the validity of the Agreement;</p> <p>11.1.3 In other cases foreseen by Georgian legislation or/and other circumstances under this Agreement.</p> <p>11.2 The purchaser is entitled to unilaterally terminate the agreement (in whole or in part), if:</p> <p>11.2.1 The supplier fails to comply or improperly complies with the obligations under this Agreement;</p> <p>11.2.2 The supplier regularly and / or roughly violates the terms of the Agreement;</p> <p>11.2.3 The supplier fails to supply the goods foreseen by the Agreement within the terms of the Agreement or the terms extended by the purchaser;</p> <p>11.2.4 In case of bankruptcy of the supplier.</p>
<p>12. მხარეთა პასუხისმგებლობა</p> <p>12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.</p> <p>12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხდის გადასახდელი თანხის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მაგრამ არაუმეტეს 500 ევროს ოდენობისა.</p> <p>12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით</p>	<p>12. Liabilities of the Parties</p> <p>12.1 The parties undertake the liability to pay to the other side for any damages as described below caused by non-compliance with this Agreement or improper performance in accordance with the current legislation.</p> <p>12.2 The purchaser is responsible for the breach of contractual terms of payment. In the event of any such a breach the purchaser shall pay to the supplier a penalty in the amount of 0.1% of the payable sum for each overdue day, but not exceed a maximum of 500 € in total.</p> <p>12.3 The supplier is responsible for the breach of contractual terms of delivery</p>

„შემსყიდველი“
 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
 ნუგზარ ჭეიშვილი
 გენერალური დირექტორი
 „Purchaser“
 LTD "Tbilisi Transport Company"
 Nugzar Cheshvili
 General Director

„მიმწოდებელი“
 Leitner JSC
 LEITNER AG-SpA
 Brennerstraße 34 Via Brennero
 I-39049 Sterzing Vipiteno (BZ)
 MWST - PIVA: IT 00123790214
 Markus Parth
 Representative, Manager of Service Department

გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევისათვის. ასეთის არსებობის შემთხვევაში იგი პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხდის მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.4 თუ მიწოდებული საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წუნდებული საქონლის შეცვლას 6.3 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით წუნდებული საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

12.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ადებულ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

13.4 ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით

of the goods. In the event of any such a breach the supplier shall pay to the purchaser a penalty in the amount of 0.1% of the value of the goods to be delivered for each overdue day.

12.4 if the supplier fails to replace the defective goods within the warranty period in accordance with paragraph 6.3, the supplier will be charged with a penalty of 0.1 percent of the value of the defective goods for each overdue day

12.5 Payment of the fine does not relieve the parties from fulfillment of the principle obligations.

13. Force-Majeure

13.1 Parties shall be exempt from liability if the failure to comply with contractual obligations was due to force majeure circumstances or/and during implementation of the Agreement the parties face such hindering circumstances which are due to objective reasons, independent of the parties. In the event of such circumstances termination of validity of the terms of the Agreement or any of them shall not be considered as breach or failure to comply with the terms of the Agreement and will not lead to application of the penalty sanctions.

13.2 For the purposes of this article, "Force Majeure" shall mean an insurmountable circumstances out of the control if the parties that are not related to the errors and negligence of the purchaser or supplier and has an unpredictable character. Such a circumstance can be caused by war or natural disasters, epidemics, quarantine, embargo and other.

13.3 The party which fails to perform the obligations under the Agreement due to the circumstances provided for in paragraph 13.1, shall immediately notify the other party in written about the reasons of failure to comply with the obligations and possible duration of the causes. In addition, the party within the reasonable term since the notification shall submit a document issued by the relevant competent or/and constraining conditions other authority proving the circumstances referred to in the letter.

13.4 In the event of force majeure circumstances or/and constraining conditions, if the party having sent the notification does not receive a written response from the other party, shall at its own discretion, the expediency and capacities continue fulfillment of the undertaken obligations. It shall search for any alternative methods for fulfillment of the imposed obligations, which shall be free from the influence of force majeure circumstances.

13.5 In case of observance of the terms referred to in paragraph 13.3 of this Agreement, the parties shall be entitled to revise the terms of the agreement and make any relevant amendments to it with respect of extension of the term for fulfillment of the liability or/and terminate the validity of the Agreement

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

ნუგზარ ჭეიშვილი
გენერალური დირექტორი

„Purchaser“
LTD "Tbilisi Transport Company"

Nugzar Cheishvili
General Director

„მიწოდებელი“
Leitner/SC

მარკუს პარტი
წარმომადგენელი - სერვისის დეპარტამენტის მენეჯერი

LEITNER AG-SpA
Brennerstraße 34 Via Brennero
I-39049 Sterzing - Vipiteno (BZ)
MwSt-PIVA: IT 00123790214
Markus Parth
Representative, Manager of Service Department

<p>ან/და ვადამდე შეწყვეტონ ხელშეკრულების მოქმედება.</p>	<p>early.</p>
<p>14. გამოსყენებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა 14.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 14.2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების გზით. 14.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეთა შორის დავა განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>	<p>12. Dispute solving 12.1 All the issues related to this Agreement shall be resolved in accordance with the Georgian legislation. 12.2 Any disputes emerged out of the Agreement shall be resolved by the parties. 12.3 In case of failure of the parties to reach agreement, the dispute shall be discussed by the Tbilisi City Court in accordance with the Georgian applicable law.</p>
<p>15. ხელშეკრულების სხვა პირობები 15.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს უფლება არა აქვს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი. 15.2 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.</p>	<p>15. Other Terms of the Agreement 15.1 Neither Party shall be entitled to in whole or in part assign any rights or obligations under this Agreement to any third party without a prior written consent of the other party. 15.2 The issues foreseen by this Agreement shall be defined in accordance with the Georgian legislation. 15.3 The Agreement is drawn up in Georgian and English languages, in two equally valid copies and each copy is kept by each party of this Agreement.</p>
<p>15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტებისა. 16.2 ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტები ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.</p>	<p>16. Validity of the Agreement 16.1 This Agreement is in force from the date of its signing and is valid till January 31, 2017, except for the paragraph 6 and point 12.4 of this Agreement. 16.2 The paragraph 6 and point 12.4 of this Agreement is valid from the date of its signing and shall remain in force for the full term of the warranty period.</p>
<p>17. მხარეთა რეკვიზიტები</p>	<p>17. Details of the Parties</p>
<p>„შემსყიდველი“ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ს/ნ 202886788 მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 ტელ: (995 32) 2-93 50 50. სს თიბისი ბანკი ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22</p>	<p>„Purchaser“ LTD "Tbilisi Transport Company" ID No: 202886788 No: 2, Station Square, Tbilisi, georgia Tel: (995 32) 2-93 50 50. JSC TBC Bank a/a № GE67TB7931836070100001; Bank Code: TBCBGE22</p>
<p>„მიმწოდებელი“ Leitner JSC ს/ნ 00123790214 მის: იტალია, ბრენერის ქ. №34; ი - 39049 შტერცინგი/ვიპიტენო (I) ტელ: 0472 722111 ბანკი: Banca Nazionale del Lavoro ბანკის კოდი: BNLIITRRBZX ა/ა: IT85F0100511600000000016999</p>	<p>„Supplier“ Leitner JSC C/F 00123790214 Address: No: 34i, Brenner str., 39049, Sterzing/Vipiteno (I), Italy Tel: 0472 722111 Banca Nazionale del Lavoro K/K 000000016999 SW: BNLIITRRBZX IBAN:IT85F0100511600000000016999</p>

„შემსყიდველი“
 შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
 ნუგზარ ჯეიშვილი
 გენერალური დირექტორი
 „Purchaser“
 LTD "Tbilisi Transport Company"
 Nugza Cheishvili
 General Director

„მიმწოდებელი“
Leitner JSC
 მარკუს პარტი
 წარმომადგენელი - სერვისის დეპარტამენტის მენეჯერი
LEITNER AG-SPA
 Brennerstraße 34 Via Brennero
 I-39049 Sterzing - Vipiteno (BZ)
 MWST-P-IVA: IT 00123790214
 Markus Parth
 Representative, Manager of Service Department

ფასების ცხრილი/Price list

CPV	დასახელება	Material	ერთეული/Unit	რაოდენობა /Quantity	ერთეულის ფასი ევროში /Price Unit in Euro	ჯამური ფასი ევროში /Net Price in Euro
42419900	სინქრონიზაციის მექანიზმის ამოღები გორგოლაქის კორპუსი	Deflector Roll Vertical Machin	ც/PC	4	698.00	2792.00
42419900	საბაგური გონდოლის იატაკი	Floor Cabin GD8	ც/PC	1	1237.50	1237.50
44440000	საკისარი 150/225DX35-6030	Bearing 6030-2RS1 150/225DX35	ც/PC	12	120.50	1446.00
42419900	მიღებული ინტერფეისის SA ტრანსპორტირება	Tower Interface Output Modul F Shipping condition	ც/PC	2	261.80	523.60
	ჯამი/ Net			1	750.00	6749.10

„სემსკოდმელო“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“
ნუგზარ ჭეიშვილი
გენერალური დირექტორი
LTD "Thbisi Transport Company"
Nugzar Cheishvili
General Director

„ლეიტნერ“
ლეიტნერ JSC
მარკუს პარტი
წარმომადგენელი -
Brennerostr. 34, Via Brennero
I-39049 Sterzing Vipiteno (BZ)
Myst-PVA: IT 06123790214
Markus Parth
Representative, Manager of Service Department